საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მირზაი“

„მირზაი“, ირანული წარმოშობის აზერბაიჯანული და სომხური სოლო ცეკვა. ტრადიციულად ცეკვავენ ქალები, თუმცა სრულდება მამაკაცებთან ერთადაც (მუს. ზომა 6/8, ტემპი ნელი, კილო სეგიაჰი). გავრცელებული იყო საქართველოშიც. ხშირად აღნიშნავენ, რომ „მ.“ საფუძვლად დაედო ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში“ გამოყენებულ ცეკვა „მირზაიას“. თუმცა აშკარაა, რომ აზრბაიჯანულ და სომხურ „მ-თან“ ზ. ფალიაშვილის ცეკვას (მელოდიურად, ტემპო-რიტმულად, კილო-ჰარმონიულად, ქორეოგრაფიით) კავშირი არა აქვს, ამიტომ უკვე დიდი ხანია სამართლიანად დამკვიდრდა ცეკვა „სამაიას“ სახელით. ივ. ჯავახიშვილის ცნობით ზ. ფალიაშვილმა „მ-ს“ საფუძვლად დაუდო კახური ლაშქრული სიმღერა „იშითა და კინტრიშითა“, რ-იც ოპერაში გამოიყენა თავისი ჰარმონიული ინტერპრეტაციით.

ლიტ.: გ ვ ა რ ა მ ა ძ ე ლ., ცეკვა „სამაია“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1983, #3; ზურაბიშვილი ი., თეატრალური პორტრეტები. ნარკვევები მუსიკაზე, თბ., 1972; ს ა მ ს ო ნ ა ძ ე ა., ცეკვა „სამაიას“ ისტორიულ-გენდერული ტრანსფორმაციის საკითხისათვის“, „ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული“, 2022, #2.

მ. ჯაფარიძე